ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ნიკოლოზი ხაბეიშვილი

მესამე ძალის პოლიტიკური გაძლიერების პერსპექტივები პოლარიზებულ გარემოში: გურიის, იმერეთისა და კახეთის მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვლადიმერ ნაფეტვარიძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი 2025

ანოტაცია

ნაშრომი აფასებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პოლარიზაციას და იკვლევს მესამე პოლიტიკური ძალის პერსპექტივებს, მისი გაძლიერების შანსებსა და საზოგადოებრივ მოლოდინებს პოლარიზებულ გარემოში, სამი რეგიონის მაგალითზე; გურიის, იმერეთისა და კახეთის. კვლევა აერთიანებს, როგორც რაოდენობრივ, ასევე მეორეულ დოკუმენტურ ანალიზს, რათა დეტალურად იქნას გაანალიზებული რეგიონებში არსებული პოლიტიკური განწყობები, მოლოდინები, მოთხოვნები და პერსპექტივები. ნაშრომის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მესამე პოლიტიკური ძალის კონცეფცია, რომელიც კონცენტრირებულია საზოგადოებრივ საჭიროებებზე, არსებულ გამოწვევებზე და იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტკური ძალის ქმედითუნარიანობას. ასევე გაანალიზებულია, რამდენად მზად არის მოსახლეობა მხარი დაუჭიროს ახალ პოლიტიკურ მოთამაშეს, რამდენად სანდოდ აღიქვამენ ასეთ ძალას და რა მოლოდინები აქვთ მასთან მიმართებით სხვადასხვა რეგიონში.

სარჩევი

შესავალი *4*

ლიტერატურის მიმოხილვა: *9*

პოლიტიკურ პოლარიზაციაზე ზოგადი ხედვები 9

პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში 10

პარტიული სისტემები და მესამე ძალის გამოწვევები 10

საზოგადოებრივი აზრი და მესამე ძალის პერსპექტივები საქართველოში 11

I თავი: დოკუმენტური მასალების ანალიზი *12*

1.1 ემოციური პოლარიზაცია საქართველოში 12

1.2 პოლიტიკური ნდობის კრიზისი და მესამე ძალის პოტენციალი: FES-ის კვლევის საფუძველზე 15

II თავი: რაოდენობრივი კვლევის შედეგები *17*

2.1 გურია 17

2.2 იმერეთი 20

2.3კახეთი 24

2.4 შედარებითი ანალიზი 27

დასკვნა *30*

ბიბლიოგრაფია *31*

დანართი N1-გურია: *33*

დანართი N2-იმერეთი: *35*

დანართი N3 - კახეთი *37*

შესავალი

საქართველოში პოლიტიკური რეალობა ბოლო წლების განმავლობაში ორ ძირითად პოლიტიკურ ძალას შორის დაპირისპირებაზეა აგებული (სილაგაძე, 2023). ამ მდგომარეობას ხშირად განსაზღვრავენ როგორც ღრმა პოლიტიკურ პოლარიზაციას, რაც გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს უწევს არჩევანი მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ და ოპოზიციური ცენტრის, რომლის ბირთვსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს. ასეთი დაყოფა მნიშვნელოვნად ზღუდავს იმ პოლიტიკურ სივრცეს, სადაც შეიძლება გაჩნდნენ და განვითარდნენ ალტერნატიული, ე.წ. მესამე პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ქვეყნის მართვის განსხვავებული ხედვები და მიდგომები აქვთ. ქვეყანაში არსებული პოლარიზებული გარემო არ ეხება მხოლოდ პოლიტიკურ ძალას, ის აისახება მედიაზე, საზოგადოებრივ განწყობებზე და პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზეც (Kandelaki, 2024). მმართველი გუნდი, წინასაარჩევნო პერიოდში, იყენებს რიტორიკას, სადაც მთელი ოპოზიციური სპექტრი გაიგივებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რითიც იგი აჩვენებს, თავის მხარდამჭერებს და საზოგადოებას თითქოს პოლიტიკური არჩევანი მხოლოდ ორ ალტერნატივას შორის არსებობს, მეტიც ,,კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას” უწოდებს ყველა იმ დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელსაც მეტწილად წინასაარჩევნო კვლევებით ბალანსს იცავს ორ პოლუსს შორის და აქვს პერსპექტივა საყრდენი მესამე ცენტრი გახდეს. მეორე მხრივ, ოპოზიციური ბანაკის ძირითადი ძალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რომელიც პოლარიზებული ველის მეორე მთავარ პოლუსს წარმოადგენს, ხშირად უარყოფითად აფასებს იმ პოლიტიკური სუბიექტების დამოუკიდებელ პოზიციონირებას, რომლებიც ცდილობენ მესამე ძალად ჩამოყალიბებას. აღნიშნული პარტია სხვადასხვა პლატფორმაზე ღიად ან ირიბად მიაკუთვნებს ასეთ ძალებს მმართველ გუნდთან აფილირებულ რიტორიკის დონეზე რომ ვთქვათ, „ქართული ოცნების სატელიტ“ პარტიებს, რაც არსებითად ართულებს მათი დამოუკიდებელი პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებას. ასეთი რიტორიკა კიდევ უფრო ამყარებს ორპოლუსიანობის აღქმას საზოგადოებაში და ამცირებს მესამე ალტერნატივის დამკვიდრების შესაძლებლობას (Gegeshidze, 2021).

ამ პროცესებს მედიაც აქტიურად უწყობს ხელს. მედიაგარემო მკვეთრად პოლარიზებულია, ერთი ნაწილი ღიად უჭერს მხარს ხელისუფლებას, მეორე კი ოპოზიციას (Freedom house, 2023). ამ ფონზე თითქმის სრულად არ არსებობს პლატფორმა, სადაც შეიძლება გაჩნდეს მრავალმხრივი დისკუსია ან რეალური პოლიტიკური დებატები. რეგიონებში, განსაკუთრებით კი გურიაში, იმერეთსა და კახეთში, ეს ტენდენცია კიდევ უფრო თვალსაჩინოა. თბილისთან შედარებით, რეგიონებში მესამე ძალების მხარდამჭერები ნაკლებად აქტიურობენ, ხოლო ორპოლუსიანი ნარატივები უფრო მყარად იკიდებს ფეხს, რაც გავლენას ახდენს როგორც ამომრჩევლის არჩევანზე, ასევე პოლიტიკური კონკურენციის ხარისხზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონულ კონტექსტის გაანალიზებას თუ რამდენად რეალურია მესამე ძალის გაძლიერება პოლარიზებულ პოლიტიკურ სივრცეში და როგორია ამ პროცესის თავისებურებები გურიის, იმერეთისა და კახეთის რეგიონების მაგალითზე. რეგიონული კონტექსტის გაანალიზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს თავისი სპეციფიკა და განსხვავებული გამოწვევები აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის მთავარი **მიზანია**, გაანალიზდეს მესამე ძალის გაძლიერების შესაძლებლობა იმ პოლიტიკურ გარემოში, რომელიც დღეს საქართველოში მძაფრი პოლარიზაციით არის დახასიათებული. მიზანი ასევე მოიცავს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც განსაზღვრავენ ამომრჩევლის მზადყოფნას მხარი დაუჭიროს ახალ, არადომინანტურ, მესამე ძალის პერსპექტივის მქონე პოლიტიკურ სუბიექტებს, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე.

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანებია:

- გამოვავლინოთ, როგორ აღიქვამენ მოქალაქეები პოლიტიკურ პოლარიზაციას;
- შევისწავლოთ, არსებობს თუ არა მესამე ძალაზე საზოგადოებრივი მოთხოვნა;
- შევაფასოთ, როგორია მოქალაქეების ნდობა არსებული პოლიტიკური პარტიების მიმართ;

- განვიხილოთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან ახალი პოლიტიკური სუბიექტები რეგიონულ დონეზე.

კვლევის **საკვლევი ობიექტია** ის პოლიტიკური და სოციალური რეალობა, რომელშიც ვითარდება მოქალაქეების დამოკიდებულება ე.წ. მესამე პოლიტიკური ძალების მიმართ. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია იმ ამომრჩეველზე, რომელიც არც მმართველ პარტიასთან და არც ძირითად ოპოზიციურ ძალებთან არ იდენტიფიცირდება, მაგრამ იჩენს ინტერესს ალტერნატიული პოლიტიკური სუბიექტების მიმართ.

კვლევას აქვს შემდეგი **საკვლევი კითხვა**: არსებობს თუ არა საქართველოში და კონკრეტულად; გურიაში, იმერეთსა და კახეთში, საზოგადოებრივი მოთხოვნა მესამე პოლიტიკური ძალის მიმართ მხარდაჭერისთვის, და როგორ გავლენას ახდენს პოლარიზაცია ამ პროცესზე?

როგორი უნდა იყოს მესამე პოლიტიკური ძალა, რომ მოქალაქეებს რეალურად გაუჩნდეთ სურვილი, მხარი დაუჭირონ მას?

აღნიშნული საკითხის უკეთ შესწავლისთვის ფორმულირებულია **ორი სამუშაო ჰიპოთეზა**:

1. მიუხედავად მაღალი პოლიტიკური პოლარიზაციისა, მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოხატავს ინტერესს მესამე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა ეს ინტერესები ჯერ არ ფორმულირდება აქტიურ მხარდაჭერად ან ელექტორალურ არჩევანად.

2. იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა ტრადიციულ პოლიტიკურ ძალებს ჯერ კიდევ უკავშირებს სტაბილურობის განცდას, მესამე პოლიტიკური ძალის გაძლიერების შესაძლებლობა შეზღუდულია, რაც აჩვენებს, რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ ფრთხილად უდგება ახალ პოლიტიკურ ცვლილებებს და მესამე ძალის არჩევანს.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდს, სტრუქტურირებული, მხოლოდ **დახურული კითხვარით** მონაცემთა შეგროვებას. გამოკითხვა ანონიმური, რაც გაზრდის პასუხების სანდოობას და თავისუფლებას, ეს არჩევანი განპირობებულია იმ საჭიროებით, რომ ანალიზი იყოს უფრო ზუსტი, შედარებადი და დროში ეფექტური. დახურული კითხვები იძლევა შესაძლებლობას, გამოკითხული პირების პასუხები გადაყვანილ იქნას სტატისტიკურ ფორმატში და გამოყენებულ იქნას, როგორც აღწერითი ანალიზისთვის, ასევე შედარებითი ანალიზისთვის რეგიონებს შორის. მონაცემების შეგროვება იგეგმება რა თქმა უნდა სამ რეგიონში გურიაში, იმერეთსა და კახეთში მცხოვრები და რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე პირებისაგან.

გარდა პირველადი მონაცემების შეგროვებისა, კვლევა ეყრდნობა მეორეული რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს, რომელიც მოიცავს **ბოლო წლების საზოგადოებრივი აზრის კვლევებს**, რომლებიც ქვეყნდება ადგილობრივი ან საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ. ეს მონაცემები გამოიყენება ზოგადი ტენდენციების აღსაქმელად.

კონცეფტუალიზაციას და ოპერნაციონალიზაციას რაც შეეხება, მესამე ძალაში იგულისხმება, პოლიტიკური მოძრაობა ან პარტია, რომელიც ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის მიღმა დგას და საზოგადოებას სთავაზობს იდეოლოგიურად განსხვავებულ ალტერნატივას. ავტორები ხაზს უსვამენ რომ ასეთი ძალა ცდილობს დემოკრატიული დისკუსიის გარდაქმნას, პოლარიზაციის შემცირებას და წარმომადგენლობითობის გაზრდას (Koop, 2006).

თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ჯეიმს ჯენინგსის კვლევა რომელიც ამტკიცებს, რომ ორი ძირითადი პარტიის უუნარობა ან სურვილის არქონა, ადეკვატურად გადაჭრას მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები, მესამე პოლიტიკური ძალის საჭიროების მიზეზია (jeenings, 2007). საქართველოში არ არსებობს სისტემური და ღირებულებებზე დაფუძნებული ალტერნატიული ხედვა სოციალური თანასწორობის, დემოკრატიული განვითარების ან ინკლუზიური პოლიტიკისთვის, ორივე ბანაკი ხშირად მანიპულირებს იდენტობის, ენისა და ტრადიციული ღირებულებების თემებით, რაც ანალოგიურად შეესაბამება ჯენინგსის მიერ აღწერილ „რასის“ სიმბოლოებით მანიპულაციას ამერიკულ

პოლიტიკაში. ჯენინგსის მიხედვით, მესამე ძალის შექმნის ძირითადი არგუმენტი არის დომინანტური ძალების მხრიდან სოციალური სოლიდარობის ჩახშობა, ღარიბებისა და საშუალო ფენის ინტერესების უგულებელყოფა და მათი პოლიტიკურად არააქტიური მდგომარეობის შენარჩუნება, მესამე ძალა შეიძლება იყოს სივრცე, რომელიც არამხოლოდ ასახავს მათ საჭიროებებს, არამედ ცდილობს სამოქალაქო პოლიტიკის რეალურად დემოკრატიზებას. ასევე, ჯენინგსის აზრით, მესამე ძალა არ უნდა კონცეტრირდეს მხოლოდ საარჩევნო კონკურენციაზე, ის უნდა გაერთიანდეს როგორც ელიტასთან დაპირისპირებული სოციალური მოძრაობა. ქართულ მესამე ძალის გაჩენის ან გაძლიერების პერსპექტივიდან თუ ვიმსჯელებთ, ეს უნდა დაიბადოს არა ზემოდან, ცნობილი პოლიტიკური სახეების მიერ, არამედ ქვემოდან სამოქალაქო ჯგუფების, სტუდენტების, პროფკავშირებისა და ადგილობრივი თემების მხრიდან. ეს მობილიზაცია უნდა იყოს ორიენტირებული არა მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვებაზე, არამედ იმ ღირებულებითი სივრცის შექმნაზე, რომელიც სამართლიანობასა და თანასწორობაზე იქნება დაფუძნებული.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ამ ნაწილში მიმოვიხილავ პოლიტიკურ პოლარიზაციას, მისი გავლენას დემოკრატიაზე და მესამე პოლიტიკური ძალის შესაძლებლობებს პოლარიზებულ გარემოში. განვიხილავ, როგორც ზოგადი თეორიული ხედვებს, ისე კონკრეტულად საქართველოს მაგალითს.

პოლიტიკურ პოლარიზაციაზე ზოგადი ხედვები

პოლიტიკური პოლარიზაცია არა მხოლოდ რადიკალურად განსხვავებულ ხედვებზე დგომაა, არამედ ღრმა დაყოფაა საზოგადოებაში, რომელიც ხშირად უარყოფითად აისახება დემოკრატიულ პროცესებზე (McCoy, Rahman, & Somer, 2018). როცა საზოგადოების დაყოფა ხდება, რთული ხდება პოლიტიკური დიალოგისა და კომპრომისების მიღწევა, რაც საბოლოოდ იწვევს სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტებას და ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას საფრთხის ქვეშ აყენებს, მნიშვნელოვანია განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში არსებული ზოგადი მაღალი პოლარიზაცია, არჩევნების შემდგომ პოლიტიკური სპექტრის მხრიდან იყოს შემცირებული, თუმცა საქართველოს ბოლო წლების მაგალითებს თუ გავიხსენებთ ეს სრულიად საპირისპიროდ გვევლინება და ძირითადად არჩევნების შემდგომ პოლარიზაციის ხარისხი კიდევ უფრო იზრდება.

პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში

საქართველოს კონტექსტში, პოლიტიკურ პოლარიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყნის პოლიტიკური სივრცე ბოლო წლებიდან ძირითადად ორ დიდ ჯგუფს, „ქართული ოცნება“ და ოპოზიციურ ცენტრს ,,ნაციონალურ მოძრაობას” შორისაა გადანაწილებული. (ნოდია, 2020)ამ ვითარებას ხაზს უსვამს და აღნიშნავს, რომ ეს ორპოლუსიანობა არა მხოლოდ პოლიტიკურ დაპირისპირებას ქმნის, არამედ მთლიანად განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასაც. ავტორის აზრით, ასეთი გამოკვეთილი პოლარიზაცია ართულებს მესამე პოლიტიკური ძალის გაჩენას, რადგან ისინი ან იზოლირებულები რჩებიან, ან ვერ იძენენ სათანადო საზოგადოებრივ მხარდაჭერას.საინტერესოა, რომ მესამე ძალასთან დაკავშირებული მცირე ლეგიტიმაციის მიუხედავად მოთხოვნა მასზე საკმაოდ მაღალია. ეს კი აჩენს ვარაუდს, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია იმ მახასიათებლების დაკმაყოფილება საზოგადოებისთვის, რომელიც ხალხს უკეთეს ალტერნატივად წარმოუდგენია. ამ მიდგომის გათვალისწინებით, კვლევის მიზანია ჩამოაყალიბოს , როგორ შეიძლება მესამე ძალამ შეძლოს პოზიციების გაძლიერება იმ რეგიონებში, სადაც პოლარიზაცია განსაკუთრებით მძაფრია.

პარტიული სისტემები და მესამე ძალის გამოწვევები

(Sartori, 1976)თავის ნაშრომში „პარტიები და პარტიული სისტემები“ განმარტავს, რომ მრავალპარტიულ სისტემაში პოლიტიკურ ძალებს განსხვავებული როლები აქვთ, თუმცა როდესაც ორი ძალა დომინირებს, სხვა პარტიებს სირთულეები ექმნებათ პოზიციების დამკვიდრებაში. ამ კონტექსტში, მესამე პოლიტიკური ძალის გაძლიერება განსაკუთრებულად რთულია, რადგან ხშრად ისინი ვიწრო მხარდაჭერას იმსახურებენ და რთულია საპარლამენტო წარმომადგენლობის მიღწევა.მისი თეორია კარგად აღწერს საქართველოს ორპოლუსიან პოლიტიკურ გარემოს, სადაც მესამე ძალა ცდილობს

ადგილი იპოვოს შეზღუდულ სივრცეში.აქ მნიშვნელოცანია, რომ მიუხედავად მაჟორტირარული სისტემის გაუქმებისა 5%-იანი ბარიერის პირობებშიც კი საქართველოში რთული გახდა ორპოლოსიანი სისტემის მიღმა არსებული რეალობის შექმნა. თუ მაჟორიტარიზმი ორპოლუსიანობას ახალისებს, პროპორციული სისტემის პირობებში 5%-იანი ბარიერი გახდა საფრთხე, რადგან როგორც უკვე აღინიშნა საზოგადოების მაღალი მოთხოვნის მიუხედავად მესამე ალტერნატიული ძალისადმი მხარდაჭერის ალბათობა ალტერნატივებისთვის გარემოდან გამომდინარე მცირეა.

საზოგადოებრივი აზრი და მესამე ძალის პერსპექტივები საქართველოში

უახლესი NDI-ის კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობაში კვლავ მაღალია პოლარიზაცია მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორის, რაც სახიფათოა ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობისთვის. კვლევის მიხედვით, მესამე ძალების მიმართ ნდობა შედარებით დაბალია, თუმცა არსებობს გარკვეული ინტერესიც ალტერნატიული პოლიტიკური პარტიების მიმართ, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და რეგიონებში. IRI-ის შედეგები ადასტურებს, რომ მიუხედავად ორპოლუსიანობისა, საზოგადოების ნაწილი მზად არის მესამე ძალების მისაღებად, თუ ისინი შეძლებენ უკეთეს ალტერნატივად წარმოჩენას. თუმცა, მნიშვნელოცანია იმის გარკვევა რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს პლიტკურ ალტერნატივას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ველზე უკვე არსებული პარტიები ბევრი მიმართულებით ჰგავს ერთმანეთს. ამ მონაცემების ანალიზი მნიშვნელოვანი ფუნდამენტია კვლევისთვის, რადგან ზუსტად მიუთითებს იმ შესაძლებლობებსა და დაბრკოლებებზე, რომელთა წინაშეც იქმნება მესამე ძალა პოლარიზებულ საქართველოში.

I თავი: დოკუმენტური მასალების ანალიზი

ნაშრომის მთავარი ნაწილის განხილვას დავიწყებ მეორეული რაოდენობრივი კვლევის ანალიზით, რომელიც დაგვეხმარება ფართო კონტექსტში დავინახოთ ყველა ის ტენდენცია რაც მესამე ძალის პერსპექტივას ქმნის და ასევე საზოგადოების მხრიდან პოლარიზაციის შეფასებითი მხარე .

1.1 ემოციური პოლარიზაცია საქართველოში

2024 წელს CRRC-ს მიერ ჩატარებული კვლევა „პარტიულობა და ემოციური პოლარიზაცია საქართველოში“ გვიჩვენებს მნიშვნელოვან შედეგებს იმის გასაგებად, თუ როგორ არის ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკა გადაქცეული ბევრად უფრო მძიმე გამოწვევად, ვიდრე უბრალოდ ვიწროპარტიულ დაპირისპირებად. მონაცემებზე დაყრდნობით ჩანს, რომ ქვეყანაში პოლიტიკა ხშირად გავლენას ახდენს ადამიანურ ურთიერთობებზე და ქმნის არასასიამოვნო ემოციურ ფონს, რაც აშკარად სცდება მხოლოდ განსხვავებული შეხედულებების ქონას. კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ გვიჩვენოს მოსახლეობის დამოკიდებულება პარტიებისადმი. ის ცდილობს გაარკვიოს ემოციური მდგომარეობაც, რაც პოლიტიკურ მხარდაჭერას თან ახლავს. ეს მიდგომა უკეთ გვიჩვენებს, როგორ ხდება ადამიანი ერთ პოლიტიკურ მხარესთან ასოცირებული და რატომ აღიქმება განსხვავებული შეხედულების მქონე პირი არა როგორც თანამოქალაქე, არამედ როგორც:,,რადიკალი”, ,,მოღალატე”, ,,მტერი”, ,,რუსი”

და სხვ. მაგალითად, კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის დაახლოებით მესამედი 31% შეიძლება ჩაითვალოს ემოციურად პოლარიზებულად. ეს ჯგუფი პოლიტიკურ დაპირისპირებაშ ემოციურად ერთვება და ეს ხშირად სცდება ჩარჩოებს, ასეთ ამომრჩევლებს ახასიათებთ მტკიცე დამოკიდებულება ერთი პარტიის მიმართ და ამის მიზეზი ყოველთვის არ არის პარტიის ხედვა ან იდეები უფრო ხშირად, ეს განპირობებულია სურვილით, რომ მეორე მხარე არ მოვიდეს ხელისუფლებაში. ეს კი ნათელს სძენს იმას, რომ ქართულ პოლიტიკაში იდეებზე საუბარს ემოციები ანაცვლებს და დაპირისპირებაც ამ მძიმე ველზე გადადის. რიტორიკიისს დონეზე ხშირიი არის ქართლი საზოგადოების გარკვეული ნაწილისგან ,,ოღონდ ნაცები არ დაბრუნდნენ" რაც მიუთიტებს ზუსტად იმ ემოციურ დამოკიდებულებას რაზეც ზემოთ არის საუბარი, ამ ,,ნარატივის" გავრცელებას ეხხმარება ის რიტორიკა, რომელიც შესავალ ნაწილშიც ვახსენე.

კვლევა ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ეს დაპირისპირება უკვე ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია მაგალითად, მმართველი პარტიის მხარდამჭერთა დიდი ნაწილი, თითქმის ნახევარი უარყოფითად აფასებს იმ შესაძლებლობას, რომ ოპოზიციის მხარდამჭერთან მოუწიოს თანაცხოვრება. ოპოზიციონერების ნაწილშიც ეს მაჩვენებელი 40%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც, საბოლოოდ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები სერიოზულ ბარიერად გვევლინება ადამიანებს შორის ურთიერთობაში, იქნება ეს მეგობრობა, ოჯახი თუ თანამშრომლობა.ამავე კვლევამ გვიჩვენა, რომ ემოციური პოლარიზაცია განსაკუთრებით გავრცელებულია იმ ფენებში, სადაც განათლების დონე შედარებით დაბალია და ასევე სოციალურად მოწყვლად ჯგუფებში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საკითხი მხოლოდ პოლიტიკურ შეხედულებებს არ ეხება, მას თან ახლავს სოციალური და კულტურული ფაქტორებიც.

კვლევამ კიდევ ერთი ჯგუფი გამოყო ესენი არიან ამომრჩევლები, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი პოლიტიკური ხედვა, ისინი ნაკლებად აქტიურობენ პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა, ამავდროულად კრიტიკულად არიან განწყობილნი და ხშირად არცერთ პარტიის ნდობა არ აქვთ. აღსანიშნავია რომ მათში შეიძლება დაავინახოთ მესამე ძალის პოტენციური მხარდაჭერა იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ ველზე

გამოჩნდება პარტია, რომელიც შეძლებს მკვეთრად გაემიჯნოს არსებულ პოლუსს და შემოიტანოს შედარებით მშვიდი და დაბალანსებული პოლიტიკა. ძირითადად ეს ადამიანები ახალგაზრდები არიან, რომელთაც პარტიული, პოლიტიკური ინტერესი და ნდობა თითქმის დაკარგული აქვთ, თუმცა მთლიანად ჩამოცილებულები არ არიან პროცესებს და მათთან სწორი კომუნიკაციით ინტერესის გაჩენა და ნდობის მოპოვება შესაძლებელია.

კვლევის ანალიტიკური განხილვის ნაწილი ასევე ეხება ემოციური პოლარიზაციის ინდექსებს. რითიც დგინდება, როგორც ემოციური დამოკიდებულებები, ისე სოციალური დისტანციის სურვილები, იგულისხმება თუ, რამდენად არის რესპონდენტი მზად ურთიერთობისთვის განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანთან. მაგალითად, კითხვები ეხებოდა მეგობრობას, ერთობლივ საცხოვრებელს ან ოჯახური კავშირის შესაძლებლობას, დაახლოებით 40%ზე მეტი ზღუდავს მსგავს ურთიერთობებს, ამ კვლევის შედეგი პირდაპირ მიუთითებს პოლარიზაციის სიმწვავეზე.

საბოლოოდ, კვლევა ცხადად აჩვენებს, რომ პოლარიზაცია საქართველოში უფრო ღრმა პროცესია, ვიდრე უბრალოდ პოლიტიკური, პარტიული ბრძოლა და ის უკვე საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ ნაწილს მოედო, ადამიანები ხშირად ემოციურად განწყობილები არიან ისე, რომ კონკრეტული, განსხვავებული პოლიტიკური ხედვის სრულად გააზრება, და მიმღებლობა არც კი ხდება. სწორედ ეს ქმნის სირთულეს, როცა მოქალაქე ერთ მხარეს მხოლოდ იმიტომ უჭერს მხარს, რომ მეორე მიუღებელია, რაც რთულს და შეუძლებელადაც კი გვიქმნის განწყობას წარმოვიდგინოთ დებატზე და კომპრომისზე დაფუძნებული პოლიტიკური კულტურა და საზოგადოება მსგავს ღრმა პოლიტიკურ, პოლარიზებულ გარემოში. ასეთი გარემოება ხელს უშლის მრავალპარტიული სისტემის განვითარებას, რაც თავისთავად რთულს ხდის დემოკრატიის ეფექტურად ფუნქციონირებას.

1.2 პოლიტიკური ნდობის კრიზისი და მესამე ძალის პოტენციალი: FES-ის კვლევის საფუძველზე

FES-ის კვლევამ, რომელიც ახალგაზრდების პოლიტიკური განწყობების შესახებ ჩატარდა, კარგად აჩვენა ის მდგომარეობა, რაც საქართველოში პოლიტიკის მიმართ ზოგად განწყობებში გამოიხატება. პირველივე დაკვირვებით კვლევაში გვხდება, ახალგაზრდებში პოლიტიკისადმი უნდობლობა და გაუცხოება, უმეტესობა ფიქრობს რომ არსებული პოლიტიკური პარტიები არ ინტერესდებიან მათი პრობლემებით, და ამიტომ არ გრძნობენ, რომ ვინმე მათი შეხედულებებისა და ინტერესების წარმომადგენელად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში უშუალოდ აქტიური ჩართულობა დაბალია, ახალგაზრდები მაინც ხშირად ადევნებენ თვალს პოლიტიკურ სიახლეებს. როგორც კვლევიდან ჩანს, მათთვის დასავლური ღირებულებები და დემოკრატია მნიშვნელოვანია, თუმცა ვერ ხედავენ საშუალებას, რომლითაც პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთვებიან. ეს ერთგვარად პარადოქსულია ,პოლიტიკით დაინტერესებული ხალხი პოლიტიკურად პასიური მდგომარეობაში. შეიძლება ითქვას, რომ მათ დიდ ნაწილს უბრალოდ არ სჯერათ, რომ მათი მონაწილეობა რამეს შეცვლის. ამავე კვლევიდან საინტერესო დასკვნაა ისიც, რომ ბევრი ახალგაზრდა თავს არ მიაკუთვნებს არც მემარჯვენე, და არც მემარცხენე იდეოლოგიას , ხშირად პასუხობენ, რომ ისინი ,,ცენტრში" არიან, ან საერთოდ არ იციან, როგორ განსაზღვრონ საკუთარი ადგილი იდეოლოგიურ კომპასზე. ეს გვაძლეევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში იდეოლოგიური სივრცე ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის და პარტიები ვერ თავაზობენ ახალგაზრდებს რაიმე მკაფიო და გასაგებ ხედვას. ასევე ცხადია, რომ ბევრი ახალგაზრდისთვის მთავარი პრობლემა ყოველდღიური ცხოვრების საკითხები; უმუშევრობა, განათლების ხარისხი, ქვეყნის დატოვების სურვილი. ამ ყველაფერს თან ახლავს გაღიზიანება, იმედგაცრუება, და ზოგჯერ ინტერესის სრულად გაქრობაც კი. თუმცა, მეორე მხრივ, არის მოლოდინი, რომ მომავალში ვითარება შეიძლება გაუმჯობესდეს. ეს ორმაგი განცდა, ერთის მხრივ უიმედობა, მეორეს მხრივ იმედი ქმნის ზუსტად იმ სივრცეს, რომელიც შეიძლება სწორად გამოიყენოს ახალმა პოლიტიკურმა ძალამ.

რეგიონული განსხვავებები პირდაპირ კვლევაში დეტალურად არ არის გამოყოფილი, მაგრამ ვაწყდებით, რას ფიქრობენ სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები, რაც გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნის. მათთან ხშირად უფრო მაღალია ტრადიციული ინსტიტუტების მიმართ ნდობა მაგალითად, ეკლესიის ან ჯარის მიმართ და ნაკლებია ნდობა პოლიტიკური პარტიებისადმი. ისინი ხშირად არ პასუხობენ პოლიტიკურ შეკითხვებზე, რაც შეიძლება ნიშნავდეს ან პოლიტიკისგან შორს ყოფნას, ან იმას, რომ უბრალოდ არ სურთ ღიად გამოხატონ აზრი. ასეთ ფონზე, თუ რომელიმე ახალ ძალას სურს რეალური პოლიტიკური სივრცის დაკავება, ის უბრალოდ კრიტიკით ვერ გაიზრდება, საჭიროა, რომ ეს ძალა დაუკავშირდეს ახალგაზრდებს. ეს არ ნიშნავს მხოლოდ ახალგაზრდულ ლექსიკაზე გადასვლას ან „ტრენდულ“ მესიჯებს, ეს ნიშნავს კონკრეტულ რეაგირებას იმ საკითხებზე, რაც მათ აწუხებთ მაგალითად, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევად ახალგაზრდები ასახელებენ სამუშაო ადგილებს და მასთან დაკავშირებულ ღირსეულ ანაზღაურებას. რაც შეეხება თბილისს, აქ სიტუაცია ცოტათი განსხვავებულია. მოსახლეობა მეტ ინფორმაციას ფლობს, მაგრამ ამავდროულად უფრო სკეპტიკურადაც უყურებს პოლიტიკას. შეიძლება ითქვას, რომ ბევრ თბილისელს უკვე ჩამოუყალიბდა პრინციპული დამოკიდებულება არსებული პარტიების მიმართ. კვლევაც ამას გვიდასტურებს ყველაზე დაბალი ნდობა პოლიტიკოსებისა და პარტიების მიმართ სწორედ თბილისის ახალგაზრდებში ფიქსირდება. ისინი თითქოს მზად არიან ცვლილებისთვის, მაგრამ არ აქვთ მოლოდინი, რომ ამას თავად შეძლებენ., სწორედ ამ ჯგუფში ჩანს ის სივრცე, სადაც მესამე პოლიტიკურმა ძალამ ყველაზე მეტად უნდა მოახდინოს თავისი თავის უკეთ წარმოჩენა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მესამე ძალის გაჩენისთვის საქართველოში არსებობს ობიექტური ნიადაგი განსაკუთრებით ახალგაზრდებში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი ახალი პარტია ავტომატურად წარმატებული იქნება. პირიქით, საზოგადოება უკვე იმდენჯერ მოტყუვდა, რომ მხოლოდ ახალ სახელს ან ლამაზ ლოგოს არ იჯერებს და საჭიროა კონკრეტული ნაბიჯები.

II თავი: რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენილი კვლევის ნაწილში წარმოდგენილია სამ სხვადასხვა რეგიონზე (გურია,იმერეთი, კახეთი) მომზადებული კითხვარი პოლიტიკური პოლარიზაციის აღქმისა და მესამე ძალის საჭიროებების შესაფასებლად .

გამოკითხვა ჩაატარდა სტანდარტიზებული კითხვარის მეშვეობით და მასში მონაწილეობა მიიღო საერთო ჯამში 215-მა რესპოდენტმა რომელთა ვინაობაც იყო ფარული

2.1 გურია

გურიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოქალაქეები პოლიტიკურ პროცესებს მძიმედ აფასებენ და აშკარად შესამჩნევია საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკური დღის წესრიგის მიმართ. კითხვაზე, როგორ აღიქვამენ დღეს ქვეყანაში პოლიტიკურ გარემოს, გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი 49 % მიიჩნევს, რომ ის ძალიან პოლარიზებულია, ხოლო დამატებით 33.3 % ამბობს, რომ „პოლარიზებულია“.

მარტივად რომ ვთქვათ, რესპონდენტების თითქმის 82 % თვლის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირების დონე ძალიან მაღალია. ამ ტენდენციას ზუსტად ეხმიანება მეორე მნიშვნელოვანი პასუხიც, ბოლო წლებში პოლიტიკური პოლარიზაციასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა 58.8 % პასუხობს, რომ დაპირისპირება **გაძლიერდა**, რაც ცხადია ამყარებს იმ მძიმე ფონს, რაც ზზემოთავღნიშნე. როდესაც საკითხი დაისვა თუ, ვინ არის ამ დაპირისპირების მთავარი მიზეზი, პასუხები მეტწილად განაწილდა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის, თუმცა მნიშვნელოვანი არის ისიც, რომ 37.3 % ორივეს ერთდროულად თვლის პასუხისმგებლად. ეს ხაზს უსვამს იმ განწყობას, რომელიც გვხვდება სხვა კითხვებშიც, რომ ამჟამინდელი პოლიტიკა ორ პოლუსს შორისაა და ბევრს უკვე ორივესადმი ტანაბრად აქვს კრიტიკული დამოკიდებულება. ამ კრიტიკულობას კარგად ასახავს პასუხებიც დებულებაზე: „მე კრიტიკულად ვარ განწყობილი, როგორც მმართველი პარტიის, ისე მთავარი ოპოზიციური პარტიის მიმართ“. გამოკითხულთა 43.1 % ეთანხმება ან სრულად ეთანხმება ამ აზრს.



ეს ნიშნავს, რომ გურიაში მნიშვნელოვანი ჯგუფი უკვე არ ენდობა არსებულ პოლიტიკურ პოლუსებს და აფიქსირებს ამას. რაც მესამე ძალას, აქაც გამოიკვეთა მკაფიო სურათი, მიუხედავად იმისა, რომ მმართველ პარტიას ჯერ კიდევ ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს (35.3 %), 27.5 % ამბობს, რომ არჩევანს მესამე ალტერნატიულ ძალაზე გააკეთებდა. ეს ნიშნავს, რომ გურიაში მესამე გზის იდეა რეალურად არსებობს და მეტიც პირდაპირ დასმულ კითხვაზე, არსებობს თუ არა მოთხოვნა მესამე ძალის გაჩენასა და გაძლიერებაზე, რესპონდენტების 58.8 % პასუხობს „დიახ“.



აღსანიშნავია ერთი კონკრეტული პასუხი კითხვაზე: ,,როგორი უნდა იყოს მესამე ძალა? 70 % ფიქრობს, რომ ის მორგებული უნდა იყოს რეგიონულ საჭიროებებზე. ეს არ არის შემთხვევითი და მისი ახსნაც მარტივია, გურია ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიკურად მოწყვლადი რეგიონია საქართველოში. ოფიციალური მონაცემებითაც (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025)გურიაში უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია, ინფრასტრუქტურული პრობლემები და ახალგაზრდებში გადაჭარბებულია მიგრაციის დონე. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ეროვნული პოლიტიკური ქცევით და რეალურად შეეხება მათ ყოველდღიურ პრობლემებს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა მესამე ძალის ბარიერად დაასახელა **ფინანსური და ადამიანური რესურსების სიმწირე**. აქედან ჩანს, რომ გურიის მოსახლეობისთვის პრობლემა არ არის იდეის არარსებობა, პრობლემა არის იმ პირობების შექმნა, რომ ასეთმა ძალამ საერთოდ მოახერხოს გამოჩენა და კონკურენცია.

დასკვნითი შთაბეჭდილება ისაა, რომ გურიაში პოლიტიკური სპექტრის და განსაკუთრებით ორი პოლუსის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მკვეთრად ჩანს და მოქალაქეების დიდი ნაწილი პოლარიზებული გარემოსგან თავის დაღწევას

უკავშირებს მესამე ძალის გაჩენას ოღონდ ამ ძალას უნდა ჰქონდეს რეალური კავშირი ადგილობრივ საჭიროებებთან, იყოს დამოუკიდებელი, ახალი და ხალხთან ახლოს მდგომი.(იხ: დანართ N1)

2.2 იმერეთი

იმერეთში ჩატარებული გამოკითხვა კარგად გვიჩვენებს იმ დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს, რომლებიც ამ რეგიონში ამომრჩეველთა შორის პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით არსებობს. პირველივე კითხვებზე მიღებული პასუხები მიუთითებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ გარემოს პოლარიზებულად აღიქვამს. კერძოდ, 81.5% ფიქრობს, რომ პოლიტიკური სივრცე ან ძალიან პოლარიზებულია, ან გარკვეულწილად პოლარიზებული. ამასთან, 65.6% მიიჩნევს, რომ ბოლო წლებში დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი ყურადღებით აკვირდება მიმდინარე პროცესებს და მათში აშკარად ხედავს დაძაბულობის მატების ნიშნებს.





ამავე დროს, საინტერესოა პასუხები იმაზე, თუ ვის აკისრებს საზოგადოება ამ პროცესებზე პასუხისმგებლობას. გამოკითხულთა 33.7% მმართველ პარტიას ასახელებს პოლარიზაციის მთავარ გამომწვევად, 26.1% ოპოზიციას, ხოლო 31.5% – ორივე მხარეს ერთდროულად. ეს მონაცემები მიუთითებს იმ ტენდენციაზე, რომ ამომრჩეველთა ნაწილი არ იძლევა ერთმნიშვნელოვან შეფასებას და პოლიტიკურ გარემოს უფრო კომპლექსურად აღიქვამს. კრიტიკული დამოკიდებულება ორივე მთავარი პოლიტიკური ცენტრის მიმართ ასევე კარგად ჩანს იმ კითხვაზე, რომელიც პირად დამოკიდებულებას ეხებოდა: რესპონდენტთა 49.5% სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება აზრს, რომ ისინი კრიტიკულად არიან განწყობილნი როგორც მმართველი პარტიის, ასევე მთავარი ოპოზიციური ძალის მიმართ. პოლიტიკური პროცესებისადმი ეს კრიტიკული მიდგომა აისახა პასუხებშიც იმაზე, თუ ვის დაუჭერდნენ მხარს ხმის მიცემის შემთხვევაში. მართალია, მმართველ პარტიას ყველაზე მეტი ხმა ერგო (33.7%), მაგრამ თითქმის იგივე რაოდენობამ (32.6%) არჩევანი გააკეთა მესამე, ალტერნატიულ ძალაზე. მთავარი ოპოზიციური ძალის მხარდაჭერა შედარებით დაბალია (19.6%).

ამასთან, 8.7% აცხადებს, რომ არ აპირებს არჩევნებზე წასვლას, ხოლო 5.4% ჯერ კიდევ გადაწყვეტილებას ვერ იღებს. საერთო ჯამში, ეს მაჩვენებლები მიანიშნებს, რომ იმერეთში არჩევნებზე მონაწილეობის მზაობა მაღალია, თუმცა მოსახლეობის ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ პოლიტიკური არჩევანი აკმაყოფილებს მათ მოლოდინებს.

მესამე პოლიტიკური ძალის თემა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს. კითხვაზე, არსებობს თუ არა საზოგადოებრივი მოთხოვნა ახალი პოლიტიკური ცენტრის გაჩენაზე, 67% პასუხობს დადებითად. ეს შედეგი აჩვენებს, რომ იმერეთის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ისეთი ძალის არსებობა, რომელიც მკაფიოდ გამიჯნულია არსებულ პოლარიზებულ ბანაკებს შორის. ამასთანავე, რესპონდენტებს ჩამოყალიბებული აქვთ გარკვეული წარმოდგენა იმაზე, როგორი უნდა იყოს ეს ახალი ძალა. 73.9% მიიჩნევს, რომ მესამე ძალა აუცილებლად უნდა იყოს დამოუკიდებელი როგორც მმართველი, ისე მთავარი ოპოზიციური პარტიისგან. ასევე ხშირად აღინიშნება მოთხოვნა ახალი სახეების მიმართ (41.3%), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობა განახლების საჭიროებას მიიჩნევს მნიშვნელოვანად. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოქალაქეთა ნაწილი ახალ ძალასთან აფასებს ევროპულ კურსზე ორიენტაციას და ღირებულებით განზომილებებსაც (30.4%).



თუმცა, ამ მოლოდინებთან ერთად მოსახლეობას გააზრებული აქვს ის სირთულეებიც, რომლებიც ახალ პოლიტიკურ ძალას ელის წინ. გამოკითხულთა 46.7% მთავარ ბარიერად ასახელებს ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობას. მეორე დიდ გამოწვევად სახელდება მედიაზე წვდომის პრობლემა (17.4%), რასაც ემატება არასაკმარისი გამოცდილება და უკვე დამკვიდრებული პარტიების გავლენა. აღსანიშნავია, რომ ეს პასუხები ასახავს იმ გარემოს, სადაც პოლარიზაცია და ორპოლუსიანობა მედიის კუთხით მნიშვნელოვნად გამოიხატება, რადგან რესპოდენტები უკავშირებენ მესამე ძალის პრობლემას მედიაზე წვდომის ნაკლებობას.

შეჯამებისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმერეთის შემთხვევა ასახავს ერთგვარ გარდამავალ ფაზას, რადგან მოქალაქეები არ იდენტიფიცირდებიან მკვეთრად არსებულ პოლიტიკურ პოლუსებთან, ხოლო მათ დამოკიდებულებაში იზრდება იმ ტიპის მოლოდინები, რომელიც ღიაა ახალი და დამოუკიდებელი ძალების მიმართ. მესამე ძალის წარმატება ამ რეგიონში ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ის ამ მოლოდინების გამართლებას.(იხ: დანართ N2)

2.3კახეთი

კახეთის რეგიონში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ასევე ადასტურებს, რომ საქართველოს პოლიტიკური სისტემა კვლავ მძაფრად პოლარიზებული რჩება. მოსახლეობის 35,2% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ძალიაპოლარიზებული პოლიტიკური გარემოა, ხოლო დამატებით 33,8% ფიქრობს, რომ ის უბრალოდ პოლარიზებულია. ამგვარად, გამოკითხულთა თითქმის 70%-ს ურჩევნია გარემოს აღწერა პოლარიზაციის კონტექსტში, რაც კიდევ ერთხელ კახეთის მაგალითზე ხაზს უსვამს არსებულ დაპირისპირებას. ამავდროულად, 52,1% ფიქრობს, რომ ბოლო წლებში პოლარიზაცია გაძლიერდა, რაც ასევე ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს საზოგადოების აღქმულ გამოცდილებას ამ მიმართულებით. რაც შეეხება პოლარიზაციის გამომწვევ ფაქტორებს, კახეთში გამოკითხულთა უმეტესობა 36,6% ოპოზიციას მიიჩნევს პოლარიზაციის მთავარ წყაროდ, რაც განსხვავდება იმერეთისა და გურიის შედეგებისგან, სადაც ხშირად ორივე მხარეს თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. ამასთან, 26,8% სწორედ ორივე მხარეს ადანაშაულებს და 21,1% მხოლოდ მმართველ პარტიას მიიჩნევს პასუხისმგებლად.

მნიშვნელოვანი კითხვაა ისიც, თუ ვის უნდა დაეკისროს მთავარი როლი პოლარიზაციის დაძლევაში. კახეთში გამოკითხულთა 31% მედიას ანიჭებს პირველობას, მმართველ პარტიას და ახალ პოლიტიკურ ძალას თანაბრად 21,1% და 18,3% ასახელებს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობის ნაწილი ჯერ კიდევ იმედს

ამყარებს არსებულ სისტემაზე, თუმცა მზარდია მოთხოვნა ახალი, ალტერნატიული მოთამაშეების გამოჩენაზეც. კრიტიკული განწყობის მაჩვენებლები განსაკუთრებით საყურადღებოა: 39,1% კრიტიკულადაა განწყობილი როგორც მმართველი, ისე მთავარი ოპოზიციური პარტიის მიმართ. ეს მნიშვნელოვანი სოციალური ინდიკატორია, რომელიც შესაძლოა აისახოს პოლიტიკურ მოლოდინებსა და საარჩევნო ქცევაზე.



კითხვაზე, ვის დაუჭერდნენ მხარს არჩევნებზე, გამოკითხულთა 23,9%-მა მესამე ალტერნატიულ ძალას დააფიქსირა მხარდაჭერა, რაც სხვა რეგიონებთან შედარებით ნაკლები პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩევა, ისევე როგორც მართველი პარტიის ,,ქართული ოცნების'' მხარდაჭერის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, რაც ნამდვილად რადიკალურად განსხვავებულ სურათს ხატავს განსხვავებით სხვა რეგიონებისა: კახეთში გამოკითხულთა 46,5% მხარს უჭერს მართველ ძალას, და უფრო დეტალური ანალიზის დროს ეს მაჩვენებელი კახეთის კონკრეტული მუნიციპალიტეტების მაგალითზე 50% კი სცდებოდა.



თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ მართველი პარტიის ეს მაღალი მხარდაჭერა შემდგომ კითხვებში სიმყარეს ვერ გამოხატავს, რადგან მოსახლეობის 45,1% აცხადებს, რომ არსებობს მესამე ძალის გაჩენისა და გაძლიერების საზოგადოებრივი მოთხოვნა. თუმცა, ამ გზას ბარიერები აქვს რესპონდენტების მიხედვით მთავარი დაბრკოლებებია ფინანსური და ადამიანური რესურსების სიმწირე 32,4%, ცნობადობის ნაკლებობა 19,7% და მედიაზე წვდომის პრობლემა 12,7%. რაც შეეხება იმ მახასიათებლებს, რაც კახეთის მოსახლეობის აზრით მესამე ძალას უნდა ჰქონდეს, აქ პირველ ადგილზეა ორი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი: ახალი სახეები 60,6% და დამოუკიდებლობა ორმხრივი პოლარიზებული ძალებისგან (57,7%). რეგიონული საჭიროებებზე მორგება ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება 38% თვლის, რომ მესამე ძალა უნდა ითვალისწინებდეს რეგიონულ სპეციფიკას, რაც კვლავ კახეთის რეგიონული იდენტობის ხაზგასმაა. შედარებით დაბალია მოთხოვნა იდეოლოგიურად მკაფიო პოზიციონირებაზე 14,1%) რაც მიუთითებდეს, რომ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი არაა იდეოლოგიური ნაწილი, არამედ კონკრეტული, პრაქტიკული ნაბიჯები და სანდოობა.

საბოლოოდ, კახეთის მონაცემებიც ადასტურებს, რომ პოლარიზაციისგან დაღლილი საზოგადოება თანდათან იწყებს მესამე ძალის საჭიროების აღიარებას. (იხ: დანართ N3)

2.4 შედარებითი ანალიზი

როდესაც სამ რეგიონში გურიაში, იმერეთსა და კახეთში, ვცდილობთ დავინახოთ, როგორი დამოკიდებულებაა პოლიტიკური პოლარიზაციისა და მესამე ძალის საჭიროების მიმართ, საინტერესო დეტალებს ვაწყდებით. საერთო სურათად ჩანს, რომ პოლარიზაცია ყველგან აღიქმება პრობლემად, მაგრამ ის, თუ როგორ იგრძნობა ეს და ვის ბრალეულებად ითვლება, საკმაოდ განსხვავდება. იმერეთში გამოკითხულ პირებს ყველაზე მკაფიოდ აქვთ წარმოდგენილი, რომ სიტუაცია ბოლო წლებში გაუარესდა, უნდა აღინიშნოს რომ იმერეთში კვლევის შედეგად ყველაზე მაღალი მაჩვნებელი არის კითხვაზზე თუ როგორ შეაფასებდნენ პოლიტიკური საკითხებით მათ დაინტერესებას, სადაც გამოკითხულთა 59,9% ,,ძალიან დაინტერესებული ვარ'' შესაბამისად პოლიტიკური დაპირისპირებაც მეტად იგრძნობა. გურიაშიც არის მსგავსი განწყობა, ოღონდ მცირე დოზით გამოიხატება, კახეთში კი უფრო დაბალია დაძაბულობის აღქმა, რაც გამოიხატება პოლიტიკის მიმართ დააინტერესების მაჩვენებელშიც სხვა რეგიონებთნ შედარებით ყველაზე მცირე 47% არის დაინტერესებული შესაბამისად შედარებით ნაკლები ჩართულობაა პოლიტიკაში, ან ხალხი უბრალოდ თავიდან იცილებს ზედმეტ ჩართულობას მსგავსი პოლიტიკური საკითხების მიმართ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კახეთში რაღაც ტიპის სტაბილურობის განცდა ჭარბობს და სწორედ ამიტომაც არ აქვს ისეთ მძაფრ შეფასებას ადგილი, როგორც დანარჩენ ორ რეგიონში. რეგიონების მიხედვით, პოლარიზაციის ხარისხი იცვლება მაგალილთად ზოგან ეს დაძაბულობა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც იგრძნობა, ზოგან კი მოსახლეობა ნაკლებად გამოხატავს აქტიურ პოლიტიკურ პოზიციას, რაც შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური ინდიფერენტულობის, ასევე სტაბილურობის განცდის შედეგი.

როდესაც კითვა ისმის თუ ვინ არის პასუხისმგებელი პოლარიზაციაზე, იქაც საინტერესო სხვაობები იჩენს თავს, იმერეთში და გურიაში ადამიანების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ორივე მხარე; მმართველი პარტიაც და ოპოზიციაც თანაბრადაა დამნაშავე. ამ პასუხებში შეიმჩნევა საერთო იმედგაცრუება მთელი პოლიტიკური სპექტრის მიმართ. ჩნდება განცდა თითქოს ხალხმა დაკარგა ნდობა, როგორც მართველი გუნდის, ისე ოპოზიციის შესაძლებლობების მიმართ და მათ შორის რეალურ

განსხვავებასაც აღარ ხედავს. კახეთში კი განსხვავებული სურათია, იქ მეტი და მძაფრია ისეთი აზრი, რომ ოპოზიცია მეტადაა პასუხისმგებელი ამ დაპირისპირებაზე. ამას თავისი პოლიტიკური ახსნა შეიძლება ჰქონდეს ის, რომ ამ რეგიონში მმართველ პარტიას შედარებით მეტი მხარდაჭერა აქვს და შესაბამისად, მოსახლეობას ის ნაკლებად აღიზიანებს.

თუ ვინ უნდა იზრუნოს გამოსავალზე და შეამციროს პოლარიზაცია, აქაც სხვადასხვა ხედვები ფიქსირდება. იმერეთში მეტი მოლოდინი აქვთ მართველი პარტიის მიმართ, რაც შეიძლება ნიშნავდეს ან უფრო მაღალი მოთხოვნის ხარისხს, ან ვალდებულებას, რომ სწორედ მართველმა გუნდმა უნდა გამოიჩინოს მეტი პასუხისმგებლობა. გურიასა და კახეთში უფრო მაღალია სურვილი, რომ მედია, ახალი ძალები ან საერთაშორისო პარტნიორები ჩაერთონ რაც შესაძლოა გამოხატავდეს, რომ არსებული პარტიები ერთმანეთში მოლაპარაკებით ვერ მოახერხებენ რაიმეს შეცვლას.

რაც შეეხება მესამე ძალის საჭიროებას, იმერეთი ამ თვალსაზრისითაც ყველაზე ღიაა. იქ ხალხს ყველაზე მეტად უნდა ახალი პოლიტიკური არჩევანი, ეს ტენდენცია ემთხვევაა იმას რასაც საერთაშორისო კვლევებშც ვხვდებით, როგორც ტრადიციული პარტიებისგან დაშორება და ახალი პოლიტიკური სურვილების გაჩენა (Dalton, 2008). იმერეთში ჩანს, რომ იქ არსებული პოლიტიკური სიტუაცია ვერ აკმაყოფილებთ და მზად არიან, მხარი დაუჭირონ ახალ ძალას. გურიაში ამ მხრივ შედარებით დაბალანსებული პასუხებია არის სურვილიც, მაგრამ არც ისეთი მკაფიო. კახეთში კი მესამე ძალის მიმართ შედარებით ნაკლები მოთხოვნაა ეს შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკისადმი უფრო ნაკლები ინტერესის შედეგი, ასევე იმის გამოხატულება, რომ ამ რეგიონში მმართველ ძალას ბევრი ემხრობა და „მესამე ძალა“ უბრალოდ არ ესაჭიროებათ. ამავე დროს, კახეთში ყველაზე მეტია გაურკვეველი პასუხებიც, რაც მიანიშნებს ან არასაკმარის ინფორმაციაზე, გულგრილ ან და სხვა ფაქტორებზე.

კითხვაზე, ვის მისცემდნენ ხმას არჩევნებზე, იმერეთის შემთხვევაში ყველაზე მეტი32.6% ამბობს, რომ მესამე ძალას დაუჭერდა მხარს. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ეს რეგიონი ყველაზე ღიად გამოხატავს სურვილს, სცადოს რაღაც განსხვავებული. გურიაში მდგომარეობა დაახლოებით მსგავსია, ოღონდ მხარდაჭერის დონე ოდნავ დაბალია 27.5%. კახეთში კი აშკარად ლიდერობს მმართველი პარტია46,5% და მცირე

მოთხოვნაა მესამე ძალაზე22%. ეს ციფრები ნათლად აჩვენებს, რომ არჩევნებში მონაწილეობისას რეგიონების მოსახლეობა განსხვავებული სტრატეგიით ხელმძღვანელობს ზოგი ცვლილების იმედით, ზოგიც სტაბილურობის შენარჩუნების მოტივით.

საინტერესოა ისიც, როგორი უნდა იყოს მესამე ძალა თუ შევადარებთ, სამივე რეგიონში ფიქრობენ, რომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი ორივე ძირითადი ძალისაგან, თუმცა იმერეთში ეს იდეა თითქმის ერთსულოვნადაა გაზიარებული73,9%, რაც ხაზს უსვამს მთლიანად პოლიტიკური სპექტრისადმი არსებულ უნდობლობას. კახეთში ამავე მოთხოვნას თან ახლავს სხვა მოლოდინიც ახალი სახეები და მეტი სიახლე. გურიაში კი ამ შემთხვევაშიც ზომიერი სურათია არსებობს მოთხოვნა დამოუკიდებლობაზე, მაგრამ არა ისე მკვეთრად გამოხატული, როგორც იმერეთში. ეს მოლოდინებიც მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ საზოგადოება ეძებს რეალურ ალტერნატივას და არა მორიგ პარტიულ ,,პროექტს'', რომელიც ფორმალურად განსხვავდება, მაგრამ შინაარსობრივად ძველ სისტემას იმეორებს.

როდესაც მიზეზებზე ვსაუბრობთ, თუ რატომ ვერ ყალიბდება რეალურად ახალი პოლიტიკური ძალა, პასუხები მეტ-ნაკლებად ერთნაირია. ყველასთვის მთავარი ბარიერია რესურსების ფინანსური თუ ადამიანური ნაკლებობაა, ამაზე განსაკუთრებით ხაზგასმით საუბრობენ იმერეთში, რაც შესაძლოა იმითაც აიხსნებოდეს, რომ იქ ხალხს უფრო რეალური მოლოდინი აქვს ცვლილების, ამიტომ როცა ცვლილება არ ჩანს, იმედგაცრუებაც უფრო მკაფიოა.

მთლიანობაში, იმერეთი იმ ადამიანებით არის დასახლებული, ვინც უფრო ხმამაღლა ფიქრობს ცვლილებაზე და მზად არის ახალ არჩევანზე. გურია ტრადიციულად უფრო ზომიერი და ფრთხილი დამოკიდებულებით არის წარმოდგენილი, იქ მოსახლეობა არც რადიკალურ შეფასებებს იძლევა და ამავდროულად პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესიც მაღალი გააჩნია. კახეთი კი აშკარად კონსერვატიულად გამოიყურება ამ საკითხებში, იქ ხალხს უფრო აქვს დამკვიდრებული პოლიტიკური პრეფერენციები და ცვლილების მოთხოვნა შედარებით სუსტია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთ რეგიონში არ იგრძნობა სრული უარყოფა მესამე ძალის მიმართ. განსხვავება მხოლოდ

იმაშია, რამდენად გამოკვეთილია ეს მოთხოვნა და რამდენად სჯერა და აქვს განცდა ხალხს, რომ რაღაც ახალი შეიძლება გამოჩნდეს. ’.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში ბოლო წლებში პოლიტიკური პოლარიზაცია მნიშვნელოვან დონეზე გამწვავდა, რაც როგორც დოკუმენტური ანალიზიდან, ისე რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგებიდან აშკარად ჩანს (Freedom house, 2023). გურიის, იმერეთისა და კახეთის მაგალითებზე გამოიკვეთა, რომ საზოგადოება აცნობიერებს ორპოლუსიანობის ზიანს და იზრდება სეგმენტი, რომელიც ეძებს განსხვავებულ, მესამე ტიპის წარმომადგენლობას (duverger, 1954).

როგორც დოკუმენტურმა წყაროებმა, ისე გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობაში არსებობს კრიტიკული განწყობა როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის მიმართ. ამან გარკვეულწილად შექმნა მოთხოვნა მესამე ძალის მიმართ, თუმცა ამ მოთხოვნის რეალიზება კვლავ დაბრკოლებაა ემოციური პოლარიზაციის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე (Reiljan, 2020). ასევე ავტომატურად არ ნიშნავს მესამე ძალის მიმართ მზადყოფნას მხარდაჭერისთვის. გამოკითხულთა ნაწილი თვლის, რომ მესამე ძალამ უნდა შეძლოს ძირითადი პარტიებისაგან დამოუკიდებლობის, ახალი სახეების და რეგიონულ საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომის შეთავაზება.

საბოლოოდ, კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მესამე ძალის პოლიტიკური გაძლიერება პოლარიზებულ გარემოს გათვალისწინებით ნამდვილად სირთულეს წარმოადგენს, თუმცა არა შეუძლებელს. მთავარი გამოწვევაა ნდობის მოპოვება საზოგადოებაში პოლიტიკური სპექტრის მიმართ, პოლიტიკური კულტურისა და გარემოს შექმნა სადაც საზოგადოება არსებული დაპირისპირებისგან განთავისუფლდება. ამისათვის კი განსხვავებული რეგიონალური კონტექსტის გათვალისწინება, შესწავლა და ანალიტიკა მნიშვნელოვანია.

ბიბლიოგრაფია

Koop, R. (2006). *Grassroots Liberals: Organizing for Local and National Politics.* oxford: oxford univercity press.

jeenings, j. (2007). The Need for a Third Party in U.S. Politics. *new political science*, 88-100.

Kandelaki, S. H. (2024). Media Polarization Turbulences in Georgia and the Visegrad States: How to Depolarize? *Georgian Institute of Politics & European Partners*, 6-14.

Gegeshidze, A. &. (2021). A Hostage to Polarization. *Carnegie Europe*, 1-2.

სილაგაძე, გ. (2023, მაისი 24). *პარტიულობა და ემოციური პოლარიზაცია საქართველოში.* From crrc.ge: https://crrc.ge/partiuloba-da-emociuri-polarizacia-saqartveloshi-crrc-saqartvelom-gamoaqveyna-akhali-kvlevis-angarishi/

სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025, მაისი 15). *დასაქმება და უმუშევრობა.* From ww.geostat.ge: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

Freedom house. (2023). *Nations in Transit 2023: Georgia*. From freedomhouse.org: https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023

ნოდია, გ. (2020). *როგორ გამოიყურება პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში და როგორ უნდა ვუპასუხოთ მას?* თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

McCoy, J., Rahman, T., & Somer, M. (2018). Polarization and the global crisis of democracy: Common patterns, dynamics, and pernicious consequences for democratic polities. *American Behavioral Scientist*, 16-42.

Sartori, G. (1976). Parties and Party Systems: A Framework for Analysis. *Cambridge University Press.*

duverger, m. (1954). *political parties: Their Organization and activity in the Modern state.* New York: Wiley.

Riker, W. H. (1982). *Liberalism Against Populism: A Confrontation Between the Theory of Democracy and the Theory of Social Choice.* San Francisco : W.H. Freeman.

Transparency International Georgia . (2022). *Challenges to Political Pluralism in Georgia*. From transparency.ge: https://transparency.ge/en/post/challenges-political-pluralism-georgia

Dalton, R. J. (2008). Citizenship Norms and the Expansion of Political Participation . *Political Studies*, 76-98.

Levitsky, S. &. (2018). *How Democracies Di.* New York: Crown Publishing.

Reiljan, A. (2020). Fear and Loathing Across Party Lines (Also) in Europe: Affective Polarization in European Party Systems . *European Journal of Political Research*, 376-396.

Prior, M. (2013). Media and Political Polarization. *Annual Review of Political Science* , 101-127.

International IDEA. (2023). *Global State of Democracy Report 2023: The Democracy Deficit.* Stockholm: International IDEA.

დანართი N1-გურია:

გურია კითხვარი : https://forms.gle/CSDwpgUUzwfMZHZDA

გურია კითხვარის შედეგები:














4.6 თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს „მესამე ძალა“ (მოხიმხეთ ერთი ან ორი თქვენთვის სასურველი)
50 responses
27 (54%)
16 (32%)
35 (70%)
10 (20%)
17 (34%)
0
10
20
30
40

დანართი N2-იმერეთი:

იმერეთი კითხვარი: https://forms.gle/Sv5ti83NjFMvc8Z87

იმერეთის კითხვარის შედეგები:



















დანართი N3 - კახეთი

კახეთი კითხვარი : https://forms.gle/iS7H6comcSq8tKZQA

კახეთი: პასუხები:











4.6 თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს „მესამე ძალა" (მონიშნეთ ერთი ან ორი თქვენთვის სასურველი)

71 responses